

დღე


№ 062 16 მარტი პარასკევი 2007
 (12 132) გამომდის 1934 წლიდან

ღასნი
50 თეთრი

შოთას მაზვიდა!



ალასგ ბაკალიძე
ქართველბუთან
სწრაფი
ბოლი გვინდა
 ფიფას
 რეიტინგმა
 არ უნდა
 მოგვატყუოს



შოთა 4
იავანიძის
გახსენება



პირველი
ქართული
ქამარი
ჭანბურჩიას



შოთა არველაძე გასახდელში, ნიუკასლის დამარცხების შემდეგ

წუხელ შოთა არველაძის და დენი კოვერმანის გოლებმა "ალკმარი" უეფას თასის მეოთხედფინალში გაიყვანა. ლუის ვან გალის კლუბმა პრემიერლიგის "ნიუკასლი" 2:0 დაამარცხა და სტუმრად გატანილი მეტი გოლების წყალობით (2:4 პირველ მატჩში) შემდეგ ეტაპზე გავიდა. შეგახსენებთ, რომ შოთამ ინგლისშიც გაიტანა გოლი და თავი წუხელ, მატჩის მე-14 წუთზეც გამოიჩინა, როცა საჯარიმოში დასწრებაზე ითამაშა და ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში ქართველ ფორვარდს კიდევ ერთი სუპერმომენტი ჰქონდა, თუმცა მის დატრყმულს შეი გივენმა ოდნავ შეუცვალა მიმართულება და ბურთი ძელმა აისხლიტა. ეს კლუბის ისტორიაში საინტერესო 1 600-ე მატჩი იყო. შოთა არველაძემ უეფას თასის წლევედელ სეზონში მეშვიდე გოლი გაიტანა, თუ ამას ჰოლანდიის ჩემპიონატში გატანილ 12 გოლსა და 6 საგოლე პასს დაემატებოდა, ნათლად გამოჩნდება, რომ ჩვენს ვეტერანს ძალიან კარგი სეზონი აქვს.

დღეს უეფას თასის მეოთხედფინალის ნილისურაა. "ალკმარის" საგარეულო მეტოქეები არიან: "ლევერკუზენი", "ვერდერი", "სევილია", "ესპანოლი", "ოსასუნა", "ტოტენჰემი" და "ზენიკა".

წუხელ "სევილია" დონეცკში გოლკიპერმა ანდრეს პალოპმა გადაარჩინა, მატჩის 94-ე წუთზე მან თავურით გოლი გაიტანა "შახტარის" კარში და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. იქ კი შეცვლაზე შესულმა ურუგვაელმა ჩევატონმა იყოჩალა.

გამარჯვება ორივე ნაკრებს!

გასარკვევი არაფერია. სინათლის სტადიონი რაბბის კავშირს ეკუთვნის. ამ ფეხბურთის თამაშის შემთხვევა და რაბბისაც.

24 მარტს ერთად უნდა მოვიბოთ!

მერაბ მამულაშვილი,
 დავით ცაბაძე

გუშინ, თბილისის "სინათლის" სტადიონზე, პირდაპირ საფეხბურთო მოედანზე, საფეხბურთო მოღვაწეებმა პრესკონფერენცია გამართეს. საქმე ეხებოდა სტადიონის მეპატრონის საკითხს. თავიდან თითქოს რაგბისა და ფეხბურთს შორის დაპირისპირება გამოიკვეთა, მაგრამ დღის ბოლოს ყველაფერი გაირკვა და, როგორც ჩანს, ბოლოც მშვიდობიანი იქნება. ჩვენ გუშინდელი დღის ქრონოლოგიას მივყვებით.

14:00, სტადიონი

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი:

- ჩვენი ინფორმაციით, სტადიონის რაგბის კავშირისთვის გადაცემის შესახებ დოკუმენტაცია ჯერ არ არსებობს. აქედან გამომდინარე, საკითხი ღიადა დარჩენილი. ჩვენ ამ საკითხის მოგვარება გასული წლის ივლისიდან ვცადეთ და შესაბამის სამსახურებს მივმართეთ. "სინათლეზე" დაარსების დღიდან საფეხბურთო სტადიონი იყო, დღესაც მუშაობს "მერანი 91-ის" საფეხბურთო სკოლა, თამაშობენ რეგიონული და პირველი ლიგის გუნდები და, რა თქმა უნდა, საფეხბურთო სამყარო ამ სტადიონს ვერ შეეღებოდა. თანაც, ვიცით, რომ გამოჩნდა მძლავრი საინვესტიციო ჯგუფი, რომელსაც სტადიონის კეთილმოწყობა სურს. ფედერაცია კი ვალდებულია საკითხის მოგვარებაში აქტიურად ჩაერთოს.



გუშინ სინათლის სტადიონზე

ალექსანდრე კობორაშვილის ფოტო



www.kazbegi.com


გახსენი... ყაზბეგი

ძველესი ფეხბურთის წარმოებდებით კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge


გამარჯვება ორივე ნაკრებს!



პირველი გვერდიდან

რამდენიმე კვირის განმავლობაში არაფერი გაგვანია და არც რაიმე გასაყოფი. პირიქით, შევხვდებით კავშირის პრეზიდენტ მერაბ ანთაძეს და დავილაპარაკებთ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ყველა საკითხის დიალოგი მოგვარება შეიძლება. თუმცა საკითხი ასე დგას - "სინათლი" თავიდანვე საფეხბურთო სტადიონი იყო. ყველას ვთხოვ, ურთიერთობაში პრობლემას ნუ დაინახავთ. ორივე სახეობის წარმომადგენელთა მთავარი ამოცანა ქვეყნის სპორტის სამსახურია.

- ბატონო ნოდარ, სტადიონი ბათუმშიც დანერგეს, "შევარდენიც" მორაგებებს გადასცეს, ავლაბრის სტადიონიც ტკბილ მოგონებად დარჩა. ფედერაციას არ შეეძლო ჩარევა, ისედაც მწირი ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო რომ არ შემცირებულიყო?
- ჩვენ კერძო საკუთრების განკარგვაში ჩარევის უფლება არ გვაქვს. ეს მეპატრონის პრეროგატივაა. "შევარდენს" რაც შეეხება, იქ საქართველოს ჩემპიონატის მატჩები ისე ტარდება, ბავშვთა გუნდები ვარჯიშობენ და 17-ნაწიანი ნაკრებისთვის შერჩევა-საც ამ სტადიონზე ვატარებდით. ბათუმში სტადიონის ადგილას სხვა



ობიექტის აშენება გადამწყვეტია. თუმცა ლევან ვარშალომიძისთან ახალი სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით აქტიურად ვთანამშრომლობთ. საერთოდ, ჩვენც კარგად გვესმის, რომ სპორტული ნაგებობების სიმცირის გამო, თითოეულ მათგანს განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ. ამჟამად სახელმწიფოსთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. თბილისის "ამერს" სტადიონის აშენება სურს და ვცდილობთ, მინიმალური ხარჯებით დავეხმაროთ, სადაც 10-15 ათასიან სტადიონს ააშენებენ. დარწმუნებული ვარ, საკითხი დადებითად გადაწყდება. ამ კუთხით, ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა ეროვნული სტადიონის მოდელი. იმავე პირობებში თუნამაყენეს, ინვესტორი სხვა სტადიონებსაც გამოუჩნდება. ასე მოხდა ზუგდიდ-

შიც, იგივეს აპირებენ ზესტაფონშიც. საინტერესოა ჩანაფიქრი გააჩნიათ ქუთაისის "ტორპედოშიც".
- საფეხბურთო სკოლები მინის და წყლის გაზრდილმა გადასახადებმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ფედერაცია თუ აპირებს მათ დახმარებას?
- ეს მარტივი საკითხი არაა. ჩვენ კონკრეტულად უნდა დავემორჩილოთ. ჯერ უნდა მოვიფიქროთ, ამ კუთხით რა ნაბიჯები გადასადგმელი.
- კანონის თანახმად, პრივატიზაციის შემდეგ ობიექტმა პროფილი არ უნდა შეიცვალოს. "სინათლის" სტადიონის შემთხვევაში, ეს კანონი ამუშავდება?
- დიას, კანონით პროფილის შეცვლა არ შეიძლება და ცხადია, ამ მექანიზმსაც გამოვიყენებთ. პროფილის შეცვლა

ალოკურიც იქნება, როდესაც ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისთვის ამდენი კეთდება, შენდება მინი-ფეხბურთის მოედნები. არა მგონია, საკითხი ასე მწვავედ იდგეს.
- წელს ინვესტორი ასხენეთ. ვინ არის, შეგიძლიათ გვიხსნათ?
- როცა საკითხი გადაწყდება, ამაზე ვიმსჯელებთ. ისე, სერიოზულ ჯგუფზეა საუბარი.
სალამო, კომენტარები
პირველად კომენტარი გააკეთა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა: - სტადიონი პრეზიდენტის განკარგულებაში უკვე გადაეცა რაგბის კავშირს, ამიტომ, ეს საკითხი სადავო არავისთვის არ უნდა იყოს!

ალექს მაკლიში: ქართველებთან სწრაფი გოლი გვინდა




ალექს მაკლიში
ბუმბინ ბრიტანული მედია კიდევ ერთხელ შეეხო შოტლანდია-საქართველოს 24 მარტის თემას. როგორც ირკვევა შოტლანდიის ნაკრების თავკაცი ალექს მაკლიშს თავდაპირველად მყარად არ ჰქონდა გადამწყვეტილი გარი კოლდუელის ეროვნულ გუნდში მისვლა. მაკლიში კოლდუელზე ფიქრობდა, მაგრამ მისი გადამწყვეტილება ერთმა სატელეფონო ზარმა კიდევ უფრო დააჩქარა. ბრიტანელი მიმომხილველების მტკიცებით,

"სელტიკის" თავკაცი გორდონ სტრანი მას ტელეფონით ესაუბრა და დაარწმუნა, რომ კოლდუელი სანაკრებოდ მზადაა. ამის შემდეგ ალმონდა კოლდუელი მაკლიშის სანაკრებო სიაში.
შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ, შოტლანდიელთა თავკაცს ზედმედ მთხოვნი დღეა, მომავალ დაპირისპირებაზე უხდება საუბარი. მაკლიში პრესასთან აცხადებს, რომ შემადგენლობის გარკვევაზე კარგა ხნის განმავლობაში მუშაობდა.
"დიდი ხნის მანძილზე ვაკვირდებოდი იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ნაკრების სავარაუდო კანდიდატები იყვნენ და საბოლოოდ ამ შემადგენლობაზე შევარჩე არჩევიანი. ამ კონტინგენტს სრულად ვენდობი, მჯერა, ყველა მასიუმებს გაიღებს სასურველი შედეგის მისაღწევად".
საინტერესოა, თუ როგორ აფასებს მაკლიში ჩვენს ნაკრებს. მას ფიფას რეიტინგისა ნაკლებად სჯერა და ყველას მოუწოდებს, რომ რეიტინგის მიხედვით არ უნდა შეაფასონ მტოქე.
"ფიფას რეიტინგში მე-16 ადგილზე

ევრო 2008. მატჩი

ვართ. ჩვენს მტოქეს 7 ათეული საფეხურით ვუსწრებთ, მაგრამ ამან არ უნდა მოგვატყუოს. მართალია, საქართველო საფრანგეთსა და იტალიასთან შინ, სტუმრად კი უკრაინასთან დამარცხდა, მაგრამ ეს გუნდი კარგად შევისწავლე და მაღალ დონეზე თამაში შეუძლია. ასე რომ რეიტინგმა არ უნდა მოგვატყუოს, საქართველოს ნაკრები უფრო ძლიერია.
ქალაქზე იოლია ყველაფრის გადმოცემა და აღწერა, მაგრამ უპირატესობა ჩამონათვალსა და ქალაქზე კი არა, მოედანზე უნდა დავამტკიცოთ.
ასე რომ, 24 მარტს რთული მატჩი გველის და ნურავინ იფიქრებს, რომ ქართველების წინააღმდეგ იოლად შეიძლება ქულების ან ქულის მოპოვება".
"დიდი რეკორდის" მიერ ამ თემაზე გავრცელებულ მასალაში შოტლანდიელთა ჩანაფიქრიც კარგად ჩანს 24 მარტის მატჩისთვის. ამაზე თავად სკოტის ნაკრების მთავარი მწვრთნელი საუბრობს:
"ჩვენთვის მთავარია, საქართველოს ნაკრებს "შემდეგ პარკზე" სივრცე არ მივცეთ. არც იმას გამოვიცხავ, რომ მტოქემ თამაში ჩაეკეტოს. თუმცა ყველაფერი უნდა ვილონოთ საიმისოდ, რომ მოწინააღმდეგეს თამაში გავახსენივით და ამ მატჩში ჩვენი მთავარი კოზირები გამოვიყენოთ.
ჩვენ ფანტასტიკური და მოკისმოძვერული სტრატეგია გვინდა. ყველაწარად უნდა ვეცადოთ, რომ სწრაფი გოლით დავწინაურდეთ. ეს მეტად ეფექტური იქნება და, შესაძლოა, მატჩის ბედიც კი გადაწყვიტოს. მთავარია, მტოქეს გასაღები მოვუძებნოთ და მჯერა, ამას შევძლებთ კიდევ".



საფრანგეთი ორი დებიუტანტით

მარტის ბოლოს საფრანგეთის ნაკრებს ორი მატჩი ელის. 24-ში სამფეხურები კაუნასში ლიტვლებს ეთამაშებიან, 28-ში კი პარიზში აშხანაგურად ავსტრიელებს გაეჯიბრებიან.
რაიმონ დომენეკმა ამ შეხვედრებისთვის ორ დებიუტანტს უხმო. ესენი არსენალელი **აბუ დიაბი** და ჩელსეელი **ლასანა დიარა** არიან. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ დომენეკი ნაკრებს შესამჩნევად ახალგაზრდაებს. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთა თავკაცი თავისი შეგირდების სადღესო ფორმით ემყოფილია. ბუნებრივია, იგი ლიტვიდან სამი ქულის ნაღებს გეგმავს.
ფრანგთა სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:
მეზარავე: გრეგორი კუპე (ლიონი), მიკაელ ლანდრო (მსუ).
მცველები: ლილიან ტურამი (ბარსელონა), ვილიამ გალასი (არსენალი), ვილი სანილი (ბაიერნი), ერიკ აბიდალი (ლიონი), ფუელი ესკუდა (სევილია), ფილიპ მექსე (რომა), სებასტიან სილვაჩი (ლიონი), ფრანსუა კლერკი (ლიონი).
სამეზარავეები: კლოდ მაკელე (ჩელსი), რიო მავუბა (ბორდო), ფლორენ მალუა (ლიონი), ფერეგი ტულალანი (ლიონი), აბუ დიაბი (არსენალი), ლასანა დიარა (ჩელსი), სამირ ნასარი (მარსელი).
თავდასამცველები: ჯიბრილ სისე (ბარსელო), ნიკოლა ანელკა (ბოლტონი), ქარიმ ბენზუმა (ლიონი), სიდნი გოფუ (ლიონი), ფრედერიკ პიკონი (მონაკო), სილვენ ვილტორი (ლიონი).
ლევან ჯანაშვილი



გოჩა ხოჯავა

მახარაძის "ანუის" მთავარმა მწვრთნელმა ომარ თეთრაძემ გოჩა ხოჯავას დიდ ფეხბურთში დაბრუნების შესახებ მიხატა. 21 წლის ნახევარმცველს ნიჭი მომადლებული რომ ჰქონდა, ამაზე არავინ დავობს. თუმცა რუ-

სეთში ფეხი ვერ მოიკიდა, "როსტოვიდან" წამოვიდა, ასევე შეემთხვა კვიპროსის "ანორთოსისში" და საშემოდგომო ეტაპი რუსთავის "ოლიმში" ჩატარა. იქაც უსიამოვნება შეემთხვა - თბილისის "დინამოსა" და "ოლიმის"

ინტერვიუ გოჩა ხოჯავასთან

ოლიმიდან ჩემი თანხმობით გააგადეს

სკანდალური მატჩის შემდეგ, რუსთაველებმა გუნდიდან გარიცხეს.
გოჩა თბილისში ორიოდელით ჩამოვიდა და საინტერესო ამბები გავიშხილა. როგორც აღმოჩნდა, სინამდვილეში იგი "ოლიმიდან" არავეს გაურიცხია. თუ რა მოხდა, ქვემოთ გაცნობთ.

მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ჩემი ბრალიც არ ყოფილა. მე ხომ ვიცო, რაც მოხდა. მეც დავთანხმდი ასეთ გადაწყვეტილებას, სხვების დასჯა რამი მანყობდა.

- სხვაც ვიგულისხმებ, საერთოდ, იგნორირებული იყავი.

- რა გითხრათ. საქართველოში "კრილიდან" ჩამოვედი, სადაც მწვრთნელს კი მოვწონებ, მაგრამ ვიცეპრეზიდენტს არ სურდა ჩემი აყვანა. საქართველოში კი სად უნდა მეთამაშა? ყველა გუნდი დაკომპლექტებული იყო და ყურადღებას ამიტომაც არავინ მატყვევდა. იცოდნენ, მაინც უნდა წავსულიყავი.

- "ოლიმში" თავიდან ბოლომდე თამაში არ ჩავიტარებია. გვრჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ფიზიკურად არ იყავი მზად.

- როგორ გეკადრებათ! "კრილიაში" მოსამზადებელი ეტაპი გავიარე და ძალიან კარგად ვიყავი. უბრალოდ არ მათამაშებდნენ და უკან-უკან მივდიოდი. დამიჯერეთ, უთამაშებლად ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ გაიზრდება, ვერც ფიზიკური კონდინციებით და ვერც კლასით.

- ახლა თავს როგორ გრძნობ?

- ძალიან კარგად, სამი შეკრების შემდეგ როგორ ვიქნები? ძალიან გამომართლა თეთრაძესთან რომ მოხვდით. ნაღდი პროფესიონალია და მწვრთნელობაშიც იყარგა. ძალიან კარგად მომამზადა. საერთოდ, უკვე მივხვდი, სა-

ქართველოში ვერავინ გაიზრდება და შესაძლებლობის მქსიმუმსაც ვერავინ გამოავლენს.

- რატომ ასე კატეგორიულად?!

- ფეხბურთელებთან მიდგომა არ იცინა და ამიტომ. პრობლემა თუ გაქვს, დახმარების ნაცვლად, ხელს გერაკენ. "ანუი" პირველი ლიგის გუნდია და სითბო ვიგრძენი, თავზე მეველებოდნენ და ბედნიერი ვარ აქედან რომ წავიდი. წარმოუდგენელია, საქართველოს ჩემპიონატში ფეხბურთელი ისე გამოჩნდეს, როგორც უცხოეთში.

- ეს ისედაც ცხადია, თუმცა, საქართველოშიც გაიზრდება მოთამაშე, თუკი მონდომებულია... გაზრდა "როსტოვიც" შეგეძლო, მაგრამ ამ გუნდშიც ვერ გაჩერდი. იქ რაღა შეგემთხვა?

- ჩემდა ბედად, მწვრთნელი შეიცვალა. მე ჩვენი ვალერი პეტრაკოვის დროს და სამ დღეში შეცვლავ მათამაშა. ეს კაცი მენდობოდა, მაგრამ მალე მის ნაცვლად სერგეი ბალახნინი დანიშნეს, რომელიც ქართველებს დასანახად ვერ იტანს და იქ გაჩერებას რაღა აზრი ჰქონდა? ნასვლა ვამჯობინე. ასე რომ, არავინ მოგატყუოთ, "როსტოვიდან" არავის გამოვუშვივარ. ბალახნინი სათადარიგოებშიც არ მათამაშებდა და კონტრაქტის განწყვეტა თავად ვითხოვე.

მერაბ მამულაშვილი

სპორტთან ჩვენს ვიდეობრებში რუსული პრემიერლიგის პარტნიორი ინვესტიციებს გავზავს

გუშინ "თბილისი-მერიოტში" პრეზენტაცია "ბილანის" ქართულმა ბიურომ გამართა. მობილური ოპერატორების ბაზარზე მესამე სუბიექტი გამოჩნდა. ეს მომხმარებლებშიც მოლოდინს იწვევს და, რა თქმა უნდა, სპორტის სამყაროშიც.

მართალია, ეს ელემენტარული ქვეყნობა გუშინ "ბილანის" წარმომადგენლებმა გაიკვირვეს, მაგრამ საინტერესო შემდეგი ფაქტია - ეს ოპერატორი რუსეთის პრემიერლიგის პარტნიორი და ტელეტრანსლაციების სპონსორია. ამას გარდა, აფინანსებს ჩოგბურთის ტურნირებს და ა.შ.

ბატონო კალინინ, საქართველოში სპორტული ღონისძიებების დაფინანსება ან გუნდებთან პარტნიორობა თუ არის თქვენს გეგმებში?
- დიახ, გვაქვს ასეთი ჩანაფიქრი, რადგან "ბილანის" სტრატეგიულ გეგმაში ჯდება.

შეგიძლიათ, რომ დავგიკონკრეტოთ, კონკრეტულად რა ჩანაფიქრს გულისხმობთ?
- სპორტს სოციალური სფეროს ნაწილად განვიხილავთ. ეს სფერო კი ჩვენს ინტერესშია.

ეს ფაქტორიც არის, თუმცა მთავარი მაინც თავად ჩვენი სტრატეგიული კურსია.
- ძალიან ზოგადი ფრაზებით საუბრობთ.
- კონკრეტული საქმეებისა და პროექტების განხორციელების ვაპირებთ და ყველაფერს მაშინ გეტყვით.

ჩანაფიქრში ფეხბურთი მოიაზრება?
- ჩვენს ინტერესს ბევრი სფერო წარმოადგენს.

მერაბ მამულაშვილი



გივი კვარაცხელია (შუაში)

ლაზიონერები ლაზიონიაში ქართულთა კლუბი სკანდალში გახვდა

დაიწყო ბალტიის ლიგის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც ესტონეთის, ლატვიის და ლიეტუის 12 გუნდი მონაწილეობს. პირველ ეტაპზე გუნდები ოთხ 3-3 გუნდიან ჯგუფებში არიან გადანაწილებული. ჩვენთვის საინტერესო გუნდები არიან ლიტვიური "კაუნასი", ლატვიური "დინაბურგი" (A ჯგუფი) და ლატვიური "სკონტოა" (D ჯგუფი). ლიგაში ორი ტური ჩატარდა, თუმცა "კაუნასმა" და "სკონტომ" თითოჯერ ითამაშეს. "კაუნასმა" ესტონეთის წარვას "ტრანსს" უმასპინძლა და დრამატულ ბრძოლაში გაიმარჯვა. მატჩის 83-ე წუთზე გივი კვარაცხელიამ გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა - 2:2, მატჩის

მწვრთნელს კი მისმა თანაგუნდელმა ლედესამამ ნუკრი მანჩხავას პასით შეაგო და "კაუნასმა" 3:2 იმარჯვა. ლიეტუვის ჩემპიონის რიგებში მანჩხავამ და კვარაცხელიამ (რომელმაც 10 ნომერი მასურა 20-ზე გაცვალა) სრულად ითამაშეს. A ჯგუფში ლატვიური "დინაბურგი" იმავე "ტრანსთან" სტუმრად 0:2 დამარცხდა, სტუმართა რიგებში 67-ე წუთზე გამოჩნდა თამაზ პერტია. ამ მატჩმა დიდი სკანდალი გამოიწვია. ბევრის მტკიცებით სტუმართა ფეხბურთელების ნაწილმა ლამის ძალით გაატანინა ესტონურ კლუბს ორი გოლი. ამის გამო "დინაბურგი" გათამაშებიდან მოკვეთეს. სხვათა შორის, ლატვიელთა

მწვრთნელი სერგეი პოპოვი პირველივე გამოვეული გოლის შემდეგ პროტესტის ნიშნად გასახდელში ჩავიდა. თამაზ პერტია "დინაბურგის" მოთამაშე-მწვრთნელია. პერტიას გარდა კლუბში კიდევ ორი ქართველია: 19 წლის ბაქარ გიორგაძე და 21 წლის როლანდ სვანიძე, მათ ესტონეთში სავიზო პრობლემების გამო არ უთამაშიათ.

D ჯგუფში მეტოქის განადგურებით დაიწყო რიგის "სკონტომ", დავით გამუხარდაშვილმა (ნომერი 25) და ზაალ ელიავამ (20) სრულად ითამაშეს და ესტონური "ფლორის" დამარცხებაში თანაწილი წვლილი შეიტანეს - 4:0.

ნიკოლოზ ნაჭარიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს ჰაინც ტოპვილარს.



www.kazbegi.com

გახსენი... **ყაზბეგი**

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინებთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge



იუბილე. შოთა იამანიძე 70

მწვანე მოედნის რაიონის მოგონება

ბუშინ, 15 მარტს თბილისის "დინამოს" ყოფილი ლიდერი და კაპიტანი **შოთა იამანიძე 70** წლის გახდებოდა. მისი სიცოცხლე 36 წლის წინათ, თბილისში, სანაპიროზე მომხდარ ავტოკატასტროფას რომ არ ემსხვერპლა. იმ დღეს საქართველომ არა მარტო დიდი ფეხბურთელი, არამედ განათლებული და კეთილშობილი პიროვნება, თბილისის "დინამოს" პირველი ოქროს კაპიტანი დაკარგა.

16 საათზე შოთა იამანიძის ოჯახის წევრები, თანაგუნდელნი, მეგობრები და ფედერაციის ხელმძღვანელობა საბურთალოს პანთეონში, შოთა იამანიძის საფლავთან შეიკრიბნენ. საზოგადოებამ კიდევ უფრო გამდიდრდა და მასტაბური გახდა კაფე "მსოფლიო სპორტში", სადაც იამანიძისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელიც დავით ქობინაძემ გახსნა. მალევე მის მიერ მოძიებული და შეკრებილი კადრებისგან შექმნილი ვიდეომასალა აჩვენეს.

ვის არ ნახავდით "მსოფლიო სპორტში", 60-იანი თუ მის შემდგომი წლების ქველ თუ ახალგაზრდა ვეტერან დინამოელებს. საღამოსა და საერთოდ იუბილეს ინიციატორი, ორგანიზატორი და დამფინანსებელი ფეხბურთის ფედერაცია გახლდათ. ფედერაციის თავკაცი ახალგაზრდაა და შოთა იამანიძის თამაში ცოცხლად არ ახსოვს, მაგრამ, მას და მის თაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ ანიჭებს, მისი სიტყვებიდანაც კარგად ჩანს:

"შოთა იამანიძეს ქართული ფეხბურთის განვითარებაში და პოპულარიზებაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. ყველამ კარგად ვიცით და შეგნე-

ბულად არ განვმეორდები, რომ ის თბილისის "დინამოს" კაპიტანი იყო. არ განვმეორდები, თუ რა მიღწევები აქვს მოპოვებული. ზოგადად ფაქტზე მივსვამ მაქსიმალურ ყურადღებას. მიმაჩნია, რომ წარსული არ უნდა დავივიწყოთ, არ უნდა დავივიწყოთ ის დიდება და სწორედ ის უნდა გავხადოთ აქტუალური. როცა ისეთ პიროვნებებს დავაფასებთ, როგორც შოთა იამანიძეა, მხოლოდ მაშინ გვაქვს შანსი მომავალში წარმატების მიღწევისა".

"იმ დიდი გუნდის წევრები, რომლის კაპიტანიც შოთა იამანიძე იყო, ნაღვლიანები ვართ, იმიტომ, რომ იმ გუნდს 6 ფეხბურთელი უკვე აღარ ჰყავს. წარმოიდგინეთ, 34 წლის ასაკში როცა მეგობარსა და თანაგუნდელს დაკარგავ, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ტრაგედიაა... დღეს მისი იუბილეა. შოთა იამანიძეს 70 წელი შეუსრულდა. მე და ყველა მისი თანაგუნდელი ვთვლით, რომ ის ჩვენთანაა დღესაც. დღეს ხშირად გავიწყობთ დევიზს, ჩვენ ერთი გუნდი ვართ - სწორედ ეს შევძლო შოთას და თანაც ძალზე იოლად ახერხებდა ამას. მას შევეძლო გუნდი ერთი მუშადად შეეკრა და საბრძოლოდ ასე გავსულიყავით ნებისმიერი მეთოქის წინააღმდეგ", - ეს კი უკვე იამანიძის დროინდელი გუნდის მეკარე სერგო კოტრიკაძის სიტყვებია.

ის უბედური შემთხვევა რომ არა, შოთა იამანიძე დღესაც ჩვენ გვერდით იქნებოდა. კაცი, რომელიც არა მარტო ქართულ ფეხბურთსა და სპორტს, არამედ მთლიანად ქართულ საზოგადოებას დააკლდა.

დავით ცაბაძე

ტრანსფერი

ანუიო არზიანი და მუჰანაძე გაიფორმა

სულ ახლახანს გაცნობეთ, რომ რუსთავის "ოლიმპის" ახალწვეულმა ზურაბ არზიანმა საქართველო დატოვა და რუსეთში დაბრუნდა. "ოლიმპთან" მან კონტრაქტი განწყვიტა და "ანჟისთან" წამოინსო მოლაპარაკებები.

გუშინ ყველაფერი კონტრაქტზე ხელის მოწერით დასრულდა. მასთან ერთად, მახაჩყალურ კლუბთან ხელშეკრულება კახა მუჰანაძემაც გააფორმა. შეგახსენებთ, ეს უკანასკნელი "ანჟის" ლირსებას ადრეც იცავდა, რის შემდეგაც ოდესის "ჩერნომორცს" მიაშურა.

"ანჟის" ახალი მთავარი მწვრთნელი ომარ თეთრაძე იმედოვნებს, რომ მისი გუნდი რუსულ პრემიერლიგაში დაბრუნებას შეძლებს. "საკმაოდ კარგმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი ჩვენს გუნდში, რაც იმედის საფუძველს მაძლევს. "ანჟის" პრემიერლიგაში თამაშის ძალა შესწევს და ჩვენ ამას თამაშით დავამტკიცებთ. სიმართლე გითხრათ კიდევ მინდა ორი-სამი ფეხბურთელის დამატება, მაგრამ ვფიქრობ არც მათ გარეშე უნდა შეგვექმნას პრობლემები. ასე რომ მათ შეძენას თუ ვერ მოვახერხებთ, ჩვენი გეგმები არ შეიცვლება", - აღნიშნა თეთრაძემ რუს ჟურნალისტებთან საუბარში.



არზიანი (მარცხნივ) საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ ითამაშა

ლევან ჯანაზაშვილი



რევაზ ბარაბაძე

ბარაბაძე მეოთხეა

უკრაინის ვიშა ლიგაში 13 ქართველი ლეგიონერი ირიცხება, მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა "დნეპრის" ფორვარდი **რევაზ ბარაბაძეა**. როგორც აღმოჩნდა, რევაზ ლიგაშიც ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა. ბარაბაძე 1988 წლის 4 ოქტომბერსაა დაბადებული. ვიშა ლიგაში მასზე ახალგაზრდა მხოლოდ სამი ფეხბურთელია: **ტარას სტეპანენკო** ("მეტალურგი" ზ.), **იაროსლავ მარტინიუკი** ("კარპატი") და **ვადიმ რიბალჩენკო** ("არსენალი"). სტეპანენკო და მარტინიუკი 1989 წელს არიან დაბადებულინი, რიბალჩენკო კი ბარაბაძეზე თვენახევრით უმცროსია.

ნიკოლოზ ნაწარმაძე

ამხანაგური მატჩი

დღეს დინამო დაუგაჟას ეთაჰაშაბა

უცნაური ამბავია, მაგრამ ასეა - რიგის "დაუგავს" თბილისშია და ხვალ "დინამოსთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს. რაღა თქმა უნდა, ეს ვეტერან ფეხბურთელთა თამაშია. რიგელები გუშინ საღამოს ჩამოვიდნენ თბილისში და ქართული ტურნეს ფარგლებში ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ურჯა უგულავამ** გვითხრა რიგის "დაუგავსს" ვეტერანთა გუნდი, "გაგრის" მოწვევით ჩამოვიდა.


დღეს, პარაკევს, 15 საათზე ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თბილისის "დინამოსა" და რიგის "დაუგავსს" ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. კვირას, 18 მარტს კი მეორე ამხანაგური შეხვედრა გაიმართება. ეს მატჩი უკვე ბოლნისში, თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე 15 საათზე დაიწყება.

დავით ცაბაძე

დუბი: ფინკეს მეგობრობა

"ფრაიბურგის" ფეხბურთელთა სურვილის საწინააღმდეგოდ, კლუბის ხელმძღვანელობამ პირვანდელი გადწყვეტილება არ შეცვალა და ბოლოდროინდელი წარმატებების მიუხედავად, **ფოლკერ ფინკეს** სეზონის დასრულებისთანავე მთავარი მწვრთნელის თანამდებობას დაატოვებინებს. ეს იმ შემთხვევაშიც კი მოხდება, თუ **იაშვილისა** და **ხიზანიშვილის** გუნდი მომდევნო მატჩებს მალე დონეზე ჩაატარებს და პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნდება.

აქამდე ფინკეს სავარაუდო მემკვიდრეები კი სახელდებოდნენ, მაგრამ "ფრაიბურგის" შეფებმა საბოლოო გადაწყვეტილება გუშინ გამოაცხადეს. ბერლისთვის მოულოდნელად, მომავალი სეზონიდან გუნდს **რობინ დუტი** განვრთნის. ძნელი წარმოსადგენია, მისი სახელი და გვარი ქართველ მკითხველს რამეს ეუბნებოდეს, დუტს ხომ გერმანიაშიც ნაკლებად იცნობენ. კარიერის განმავლობაში 42 წლის დუტს "ფრაიბურგის" სიძლიერის გუნდშიც არ უშუშავია. დღესდღეობით, იგი რეგიონალური ბინადარ "შტუტგარტერ კიკერსს" წვრთნის. ამ კლუბის ხელმძღვანელობას დუტი სამსახურის შეცვლაზე უკვე შეუთანხმდა.



რობინ დუტი

გერმანული პრესა მას ნიჭიერ და პერსპექტიულ სპეცილისტად ახასიათებს. ვარაუდობენ, რომ იგი ფრაიბურგულ გარემოს იოლად აულებს ალლოს და გუნდს უფრო შედეგიანად აათამაშებს. დუტი შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ყოფილა.

ფინკეს რაც შეეხება, იგი ალბათ, "ფრაიბურგში" დარჩება და მუშაობას რომელიმე მმართველ თანამდებობაზე განაგრძობს.

ლევან ჯანაზაშვილი


მწვანე სამყარო **GREEN WORLD**

**გამწვანება
ფილავის დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ძვის საშუალოები
განათება
შადრავნები**

**ახალი გზოქა
ჩვენთან ერთად**

მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97

ორშაბათობით იკითხეთ...



მსუბუქი გარეთი ვერსია თაბაკისათვის № 1 (5-18 მარტი) გაყიდის (რა ქაიჩაში ერთხელ)

ტურნირები

მარეი ფინალისკენ მიიწევს

ბრიტანელმა ნენრიუ მარეიმ მეოთხე წრის შეხვედრა მოუგო რუს ნიკოლაი პიტიუხოვს და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ინდიან ველის ფინალისკენ...

როგორც მოსალოდნელი იყო, შოტლანდიელ ამომავალ ვარსკვლავს ძნელი შეხვედრა ჰქონდა რუს მეტოქესთან, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დავიდენკოს თავის სტილში თამაშის საშუალება არ მისცა...

დასაწყისში რალაე ვერ ავანყე. მაგრამ შემდეგ, თანდათან შევამცირე შეცდომები და ძლიერი მოწოდების ხარჯზე, უპირატესობა მოვიპოვე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გადაწყვეტი მიმენტებში ქულების მოპოვებას...


დავიდენკომ თამაში აგრესიულად დაიწყო. ის ხშირად გადიოდა ბადესთან, რითაც დიდ პრობლემებს უქმნიდა შოტლანდიელს...

ლოდ უნდა ითქვას, რომ მან მეტოქის აგრესია დააცხრო და თამაში თავის სასარგებლო რიტმში გადაიყვანა.

ქალების ბადეში კი წინსვლას აგრძელებს სლოვაკი დანიელა პანტუხოვა, ვინც მეოთხედფინალში დაძაბულ პაექრობაში დაჯანბნა ისრაელის შაპარ პეერი...

პანტუხოვასა და პეერის შეხვედრაში განსაკუთრებით საინტერესო გადაწყვეტი სეტი გამოდგა. სლოვაკი მეჩროგე 5-4-ს იგებდა და მტრზე ანოდებდა, მაგრამ პეერიმა შეძლო საბასუხო ბრეიკის აღება და სეტი ტაიბრეიკზე გადაიყვანა...

Table with 2 columns: ATP, WTA. ATP Pacific Life Open, WTA Pacific Life Open. Includes names like დანიელა პანტუხოვა and შაპარ პეერი with their records.



1/4 ფინალში ხაფიზი. ფერერი (14)-ჯოკოვიჩი (12); მარეი (13)-პასი (9); ლუბიჩიჩი (8)-როდოვი (3); ჩელა (30)-ნადალი (2). WTA Pacific Life Open. დანიელა პანტუხოვა (სლოვაკი, 14)-შაპარ პეერი (ისრა, 11) 6:2, 5:7, 7(6):5; ნალი (ჩინ, 12)-ვერა ზეონარევა (რუს, 15) 6:4, 7:5.

კალთბურთი

NBA. რეკულარული ჩემპიონატი

დალაინ-ფინისი 127:129 2 ო. ბ. 18:32, 35:28, 38:16, 20:35, 9:9, 7:9

დალაინი სტექუაუნი (33 ქ), ნოვიცი (30 ქ, 16 მ 6 ა), ტერი (27 ქ, 5 მ 5 ა, 4 რ, 2 დ), ჯომ ჰოვარდი (19 ქ, 9 მ), დემიო (8 ქ, 11 მ)

ფინიქსი: ა. სტაუდმანერი (41 ქ, 10 მ 2 დ), ნენი (32 ქ, 16 მ 8 მ), ბარბოსა (17 ქ, 3 მ, 3 ა), მერიანი (15 ქ, 12 მ, 3 დ 2 რ), რ. ბელი (11 ქ, 2 რ)

ინდიანა-პეინზი 96:112 24:23, 22:26, 28:35, 22:28

ინდიანა: უ. ინილი (24 ქ, 7 მ 3 ა, 2 დ), დ. გრინ-ჯერი (19 ქ, 5 მ), მერი (17 ქ, 7 მ), მ. დანლი-უმბროსი (12 ქ, 9 მ), დ. არმსტრონგი (11 ქ)

ოკლაჰომა-თაუა 101:90 21:23, 21:17, 35:24, 24:26

ორლანდო: დ. პოვარდი (31 ქ, 15 მ 2 დ), თურ-ქოლუ (22 ქ, 8 მ 4 ა, 4 რ), ვ. პილი (12 ქ, 3 ა), თუტა ბუზური (29 ქ, 7 მ 2 რ), ოქური (21 ქ, 12 მ), დ. უილიამსი (14 ქ, 11 ა), ფიშერი (13 ქ, 2 რ)

ბორნინა-ფინი 104:94 22:19, 22:31, 35:18, 25:26

ბორნინა: ბოში (22 ქ, 8 მ 4 ა), გარბახოსა (20 ქ, 4 მ 2 რ), ტი. ჯეი. ფორდი (18 ქ, 18 ა, 4 მ 2 რ), ბარნინა

კალიფორნია 101:90 21:23, 21:17, 35:24, 24:26

ორლანდო: დ. პოვარდი (31 ქ, 15 მ 2 დ), თურ-ქოლუ (22 ქ, 8 მ 4 ა, 4 რ), ვ. პილი (12 ქ, 3 ა), თუტა ბუზური (29 ქ, 7 მ 2 რ), ოქური (21 ქ, 12 მ), დ. უილიამსი (14 ქ, 11 ა), ფიშერი (13 ქ, 2 რ)

ბორნინა-ფინი 104:94 22:19, 22:31, 35:18, 25:26

ბორნინა: ბოში (22 ქ, 8 მ 4 ა), გარბახოსა (20 ქ, 4 მ 2 რ), ტი. ჯეი. ფორდი (18 ქ, 18 ა, 4 მ 2 რ), ბარნინა

კალიფორნია 101:90 21:23, 21:17, 35:24, 24:26

ორლანდო: დ. პოვარდი (31 ქ, 15 მ 2 დ), თურ-ქოლუ (22 ქ, 8 მ 4 ა, 4 რ), ვ. პილი (12 ქ, 3 ა), თუტა ბუზური (29 ქ, 7 მ 2 რ), ოქური (21 ქ, 12 მ), დ. უილიამსი (14 ქ, 11 ა), ფიშერი (13 ქ, 2 რ)

ბორნინა-ფინი 104:94 22:19, 22:31, 35:18, 25:26

ბორნინა: ბოში (22 ქ, 8 მ 4 ა), გარბახოსა (20 ქ, 4 მ 2 რ), ტი. ჯეი. ფორდი (18 ქ, 18 ა, 4 მ 2 რ), ბარნინა

კალიფორნია 101:90 21:23, 21:17, 35:24, 24:26

TV სპორტი

Table of TV sports events including 16 მარტი პარასკევი and 17 მარტი პარასკევი. Lists times and channels for events like ATP Pacific Life Open, WTA Pacific Life Open, and Eurosport.

Table of Eurosport-2 events. Lists times and channels for various sports events.

სხელი ხაზი

Table showing betting odds for various events. Includes sections for 'უზუბური', 'როიკალია', 'უინალი', and 'პროგნოზი-სტატისტიკა'.

ჰოკეი


Table of NHL regular season events. Lists times and channels for various hockey matches.

კალთბურთი
ვილუოკი
მეტრონალი გამოცხადდა
გუშინ, "მილუოკი ბაქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს ტერი სტოტსი.

მედიისკაში ჯარი
ვარი დაბრუნდა
საპრემიუმის "ოლიმპიკოსის" მთავარი მწვრთნელის პინი გერმონის ინფორმაციით, კვლევა გადაიღო კლუბის ლიტველი ლეგიონერის - არვიდას მაციუსკასის მოედანზე დაბრუნება.

ოლიმპიკი
ლონდონის ოლიმპიკიდან
სონსორი გამოყვანდა
ბრიტანულმა ბანკმა Lloyds TSB-მა მოიგო ტენდერი, რისი წყალობითაც, ის ამერიკიდან 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სონსორად მოიხსენიება.

როგორც
რუსეთში ბრიტანეთის
ნაერების მთავარმა
მწვრთნელმა ჯონ ლოდმა განაცხადა, რომ აპრილში, პოლანდიის ნაერებთან გასამართი მატჩისთვის აუცილებლად შეიყვანს შემადგენლობაში გრეგ რუსეტკის.



ტესტებზე ფერარი ყველაზე სწრაფი იყო

ვალმა ვარსკვლავმა მიზნის მიღწევაში ხელი შეუშალა ტიტულისთვის მებრძოლ ესპანელ თანაგუნდელს.

და მაინც, ჰემილტონის დებიუტი ახლაც შეიძლება ჩაითვალოს ახალი სეზონის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად. სხვა თუ არაფერი, ის ფორმულა ერთის ისტორიაში პირველი მავკანინი პილოტია. მეორეც, რომ დენისი მას უკვე დიდი ხანია ამზადებს დიდი პრიზებისთვის და აი, დადგა დრო, როცა ლუისზე ზრუნვის შედეგი უნდა გამოჩნდეს.

მასავეთ კარგ მომავალს უწინასწამეტყველებენ "რენოში" ალონსოს ნაცვლად მიღებულ ფინელ ჰეიკი კოვალაინენს, ვინც წინა სეზონში ფრანგულ საჯინოში ტესტ-პილოტად მუშაობდა და ამიტომ, გუნდთან შეგუება არ გაუჭირდება. არაა გამორიცხული, რომ მანაც სადებუტო სეზონშივე შეძლოს პირველი გამარჯვების მოპოვება. თუმცა, თავად "რენოში" აღიარებენ, რომ მათი ბოლიდი, ჯერჯერობით, კონკურენტისა ვერ უნებს "ფერარისა" და "მაკლარენის" მანქანებს.

"წინა სეზონებთან შედარებით, ჩვენ გაცილებით ცუდ პოზიციაში ვიმყოფებით, თუმცა ნურავინ იფიქრებს, რომ უბრძოლველად ვაპირებთ რაიმეს დათმობას. წინა ორ სეზონში შესანიშნავი სტარტი ავიღეთ, ამჯერად ამის გაქურდება გავიჭირდება. შარშანდელი სეზონის ბოლოს სხვა გუნდებს ამკარა პროგრესი დაეცყო. ჰოდა, ალბათ, ამჯერადაც ასე იქნება - თავიდან "ფერარი" და "მაკლარენი" დაწინაურდებიან და სეზონის განმავლობაში მათ ალბათ სხვებიც დაეწევიან. ვიმედოვნებ, რომ ამ სხეულებში ჩვენც ვიქნებით", - ამბობს "რენოს" მთავარი ინჟინერი პეტ სიმონდსი.

რაც შეეხებათ დანარჩენებს, ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესი "ბენეტონს" ექნება. "უილიამსისგანაც" ბევრი წინსვლას ელის. შეგახსენებთ, რომ ფრენკ უილიამსისა და პატ-

რიკ ჰედის გუნდს შარშან, ბოლო 30 სეზონში ყველაზე ცუდი შედეგი ჰქონდა.

ახალი სეზონის კიდევ ერთი მოვლენა "ჰონდას" უჩვეულო გარეგნობაა. გუნდმა თავისი ბოლიდი ყველანაირი სარეკლამო წარწერისგან გაათავისუფლა და მასზე ჩვენი პლანეტის კოსმოსური ფოტო გამოსახა. ამით, სიმბოლურად იაპონური გუნდი, ფორმულა ერთში გლობალური დათბობის წინააღმდეგ მებრძოლთა ავანგარდში ჩადგა. ბოლიდი მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ რამდენად აისახება მისი გარეგნობა შედეგებზე, ძნელი სათქმელია.

"რედ ბულს" ჩემპიონი "რენოს" ძრავი აქვს, მისი ბოლიდები კი უნიჭიერებსმა კონსტრუქტორმა ედრიან ნოიემ დააპროექტა. მაგრამ ჯერჯერობით ამ კომბინაციის შედეგი უფერულია - ბოლიდებს ამკარად აკლიათ სისწრაფე. თითქმის ანალოგიურ შასის იყენებს ავსტრიელი მილიარდერი დიტერ მატეშეცის კიდევ ერთი გუნდი - "ტორო როსო", ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის "ფერარის" ძრავითაა აღჭურვილი.

"ტორო როსოს" მსგავსად, სხვა გუნდის ("ჰონდას") შასის იყენებს იაპონური გუნდი "სუპერ აგური", რაც ფორმულა ერთის მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის დარღვევაა და ფრენკ უილიამსის დიდ უძეგროფილებას იწვევს. მოსალოდნელია, რომ ამის გამო, მია ფრენკი მელბურნშივე დიდ ამბავს ატეხს. ოღონდ, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მისი საჯინოში შარშანდელივით მანქანალებს შორის აღმოჩნდება.

რისი მაქნისი იქნება "ტოიოტა", ან ჰოლანდიური "საბიკერი", ძნელი სათქმელია. იაპონური ავტოგოგანტის საქარბო გუნდი ყველაზე დიდი მხარჯველია, მაგრამ დებიუტიდან მოყოლებული, სულ ერთ ადგილს ტკეპნის. არადა, სასტარტო რიგში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი პილოტები კი ჰყავს. "საბიკერს" კი, მიუხედავად იმისა, რომ რუსულ-კანადური "მიდლენდის"

ადგილზე აღმოცენდა და შესაბამისად, არც ახალბედა შეიძლება ეწოდოს, მაინც ახალ გარემოსთან შეგუება მოუწევს და მისგან ბევრი არაფერია მოსალოდნელი.

და კიდევ. დიდი პრიზების ცირკიდან ფრანგული "მიშლენის" ნასვლას, ფორმულა ერთში ნოდებული "საბურავების" ომის დასრულება მოჰყვა. ამგვარად, იაპონური "ბრიჯსტონი" ერთადერთი კომპანიაა, რომლის საბურავებითაც გუნდებს ასპარეზობა მოუწევთ.

კალენდარში კი ორი ცვლილება მოხდა. დაბრუნდა ბელგიის დიდი პრიზი. სამაგიეროდ, ადგილი დაკარგა სან მარინოს დიდმა პრიზმა. იაპონიის რბოლა სუტუკას ნაცვლად ფუძის ავტოდრომზე ჩატარდება, გერმანიის დიდ პრიზს კი, მომდევნო ოთხ სეზონში მორიგეობით უმასპინძლებენ "ნიურბურგრინგი" და "ჰოკენჰაიმინგი".

მერაზ ლორთქიფანიკა

Table with 2 columns: Driver Name and Team Name. Includes names like 18 მარტი, 19 მარტი, 20 მარტი, etc.



დაბიუტი 1973 წელს; 533 გრან-პრი; 9 კონსტრუქტორთა თასი; 113 მოგება; 125 პოული; 127 უსწრაფესი წრა; 2512.5 ქულა

16. ნიკო როსბერგი (გერმანია) დაიბადა: 27.06.1985 დაბადების ადგილი: ვიზბადენი...



დაბიუტი 2006 წელს; 18 გრან-პრი; 1 ქულა

21. აკრიან სუბილი (გერმანია) დაიბადა: 11.01.1983 დაბადების ადგილი: გრაფელფინგი...




დაბიუტი 2006 წელს; 18 გრან-პრი; 1 ქულა

19. სერჯიო პეგარი (არგენტინა) დაიბადა: 24.01.1983 დაბადების ადგილი: მანტეკა...




დაბიუტი 2006 წელს; 18 გრან-პრი

23. ენრიკო ბენედიტინი (იტალია) დაიბადა: 18.04.1979 დაბადების ადგილი: პეგლი პეგრეტინი...



დაბიუტი 2005 წელს; 37 გრან-პრი; 50 ქულა

15. მარკ უებერი (ავსტრალია) დაიბადა: 27.08.1976 დაბადების ადგილი: ქუინსბეიანი...



დაბიუტი 2006 წელს; 18 გრან-პრი; 36 ქულა

10. რობერტ კუბისა (აშშ) დაიბადა: 07.12.1984 დაბადების ადგილი: კრაკოვი...



საორბეული

მთავარი რედაქტორი თინათინ ბაჩალიაძე

დირექტორი ანა ბაჩალიაძე

მთავარი რედაქტორი გიორგი ბაჩალიაძე

მთავარი რედაქტორი თინათინ ბაჩალიაძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს

2006 წელს გაერთიანდა გაზეთი "სპორტთან"

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორი: მინაილი კახაბაძე

პარტნიორი: საერთაშორისო ოლიმპიური ფონდი

მისამართი: ბ. მუსხიშვილი 14, 0108 თბილისი

გამოცემის ყოველწლიური მარჯვენა კონკურსი

სპორტული

სპორტული ლიგის კლუბების გენერალურმა მენეჯერებმა დრაფტის სისტემის შეცვლა გადაწყვიტეს.

დრაფტის სისტემაში უპირატესობა ჰქონდათ, დანარჩენი 16 კლუბი კი, რეგულარულ ჩემპიონატში მოპოვებული ქულების მიხედვით დეგროდინდნენ.

ახალი სისტემის მიხედვით, დრაფტის ნომრების განაწილება ფლეი ოფის შედეგების გათვალისწინებით მოხდება.

რეინჯერსუი სამი ბრძოლა

"ნიუ იორკ რენჯერსმა" დაახლოებით 3-4 კვირით დაკარგა ჩეხი მცველი კარლ რაჟინი.

რეინჯერსს კიდევ ორი ჰოკეისტი ჰყავს ტრავმირებული - მარსელ ჰოსა და ფიოდორ ტიუტინი.

კილომეტირის კანონები

"ვაშინგტონ კანონების" რეგულაციები ბრუნდება ცნობილი გერმანელი მკვლარე ოლაფ კილოციგი.

როგორც დედაქალაქური კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, 36 წლის გოლკიპერი დღეს, "ბოსტონთან" შეხვედრაში დაიკავს საკუთარი გუნდის კარს.

ფილანთროპია

ფილანთროპიული სეზონში "ფილანთროპია ფლაიერზი" უიმედო აუტსაიდერია და რეგულარულ ჩემპიონატში ბოლო ადგილზე იმყოფება.

ფილანთროპიის განმავლობაში სტენლის თასის მოპოვება.

ნაგებობები

რამზალარული ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში, პირველობის ლიდერმა "ნემსილ პრედატორზმა" ზედიზედ ორი პრინციპული შეხვედრა წააგო.

თუ გავთვალისწინებთ იმას, რომ ერთის გარდა "ნემსილში" ტრავმირებული არიან პიტერ ფორსბერგი, სტივ სალივანი, სკოტ ნიკოლი და სკოტ ჰარტელი.

ლინიაგრო კლინიკაში მოხვდა

რამზალარული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, რომელშიც ერთმანეთს "მონრეალი" და "აილენდერსი" ხვდებოდნენ, სერიოზული დაზიანება მიიღო ნიუორკელთა მეკარე რიკ დიპიტრომ.

ინციდენტის შემდეგ, დიპიტრომ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ გამოკვლევის შემდეგ მის გაუშვეს.

პროფესიონალი ითამაშავენ

ამ დღეებში, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციისა და ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელთა შეხვედრა გაიმართა.

ოლიმპიადებზე ჰოკეისტები 16-28 თებერვალს გაარკვევენ ურთიერთობას.

ჟორჯია

ავსტრალიის გრან-პრით გაიხსნება ფორმულა 1-ის მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი.

კვირას, ავსტრალიის გრან-პრით გაიხსნება ფორმულა 1-ის მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი.



რენატე გიორგი და ბოდე მილერი

მსოფლიო თასი

კიდევ ორი გლობუსი

შვეიცარიის სამთო კურორტ ლენცერ-ჰაიდში ჩატარდა სამთო მოთხილამურეთა სეზონის სუპერგიგანტის ბოლო ეტაპები.

ოლონდ, მათ სეზონის ბოლო ეტაპები არ მოუგიათ. კაცების რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.

რეინჯერსი მთაში რბოლაში კვლავ ყველაზე სწრაფი იყო ნორვეგიელი აკსელ ლუნდ სვიდალი.